ბრიტანულ-ქართული აკადემია

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

**15 ოქტომბერი, 2025**

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 4-01/15/10-25

**შპს „ბრიტანულ ქართული აკადემიის" ევაკუაციის სახელმძღვანელოსა (წესის) დამტკიცებისა და განგაშზე რეაგირების ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ**

შპს „ბრიტანულ ქართული აკადემიის" წესდების, „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით" გათვალისწინებული მოთხოვნებისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი წესების შესაბისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული ფორმით დამტკიცდეს შპს „ბრიტანულ ქართული აკადემიის" (შემდგომში – ***„აკადემია"***) საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუაციის სახელმძღვანელო (წესი) *(დანართი N1).*
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ევაკუაციის სახელმძღვანელოს (წესის) პირობების შესრულებისა და კონტროლის მიზნით შეიქმნას **განგაშზე რეაგირების ჯგუფი** (ასევე მოხსენიებული, როგორც „საგანგებო შტაბი") და მისი შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| 1. **მამუკა წიკლაური**<br>*დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი* | **განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსი** |
| **სერგი ჯანდიერი**<br>*დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე* | **განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსის მოადგილე** |
| 2. **სალომე დანელია**<br>აკადემიური დირექტორი | **უსაფრთხოების მთავარი ოფიცერი** |
| **სოფო ქლენტი**<br>აკადემიური დირექტორის მოადგილე | **უსაფრთხოების მთავარი ოფიცრის ჯგუფის წევრი** |
| **თემო ვაშაკიძე**<br>დაწყებითი საფეხურის ხელმძღვანელი | **უსაფრთხოების მთავარი ოფიცრის ჯგუფის წევრი** |
| 3. **გიორგი დოლიშვილი**<br>ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი | **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის უფროსი** |

ბრიტანულ-ქართული აკადემია

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

| | |
|---|---|
| **ვახტანგ გოგოლიშვილი**<br>ტექნიკური დეპარტამენტის მენეჯერი | **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის წევრი** |
| **გურამ გოგოლაძე**<br>ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომელი | **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის წევრი** |
| **თორნიკე ხეჩიკაშვილი**<br>ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომელი | |
| **ემინი გეიდაროვი**<br>ტექნიკური დეპარტამენტის თანამშრომელი | **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის წევრი** |
| | **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის წევრი** |
| **4. ნინო კოტრიკაძე**<br>ექიმი | **სამედიცინო დახმარების ჯგუფის უფროსი** |
| **ნანა სამხარაძე**<br>ექიმი | **სამედიცინო დახმარების ჯგუფის წევრი** |
| **ნატო ჭაბაშვილი**<br>მთავარი ბიბლიოთეკარი | **სამედიცინო დახმარების ჯგუფის წევრი** |
| **ნათია ლაცაბიძე**<br>ბიბლიოთეკარი | **სამედიცინო დახმარების ჯგუფის წევრი** |
| **თამარ გოგიჩაშვილი**<br>ბიბლიოთეკარი | **სამედიცინო დახმარების ჯგუფის წევრი** |
| **5. სერგი ჯანდიერი**<br>დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე | **ძებნისა და გადარჩენის ჯგუფის ხელმძღვანელი** |
| **ბექა ოთანაძე**<br>IT დეპარტამეტის ხელმძღვანელი | **ძებნისა და გადარჩენის ჯგუფის ხელმძღვანელი** |

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

| | |
|---|---|
| **აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მორიგე თანამშრომლები** | **ძებნისა და გადარჩენის ჯგუფის წევრები** |
| **IT დეპარტამენტის თანამშრომლები** | **ძებნისა და გადარჩენის ჯგუფის წევრები** |
| **ლიზი საკანელაშვილი**<br>დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მიმღები *თანამშრომელი* | **ძებნისა და გადარჩენის ჯგუფის წევრები** |
| **ნაიკო მითაგვარია**<br>დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მიმღები *თანამშრომელი* | **ძებნისა და გადარჩენის ჯგუფის წევრები** |
| 6.**დალუნა დოლიძე**<br>სასკოლო პროცესების მართვის და მიღების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | **ევაკუაციისა და კომუნიკაციის კოორდინატთა ჯგუფის უფროსი** |
| **მარინა ჭელიძე**<br>ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | **ევაკუაციის კოორდინატორთა ჯგუფის წევრი** |
| **ნინო მეტრეველი**<br>Lions Academy - ის ადმინისტრატორი | **ევაკუაციის კოორდინატორთა ჯგუფის წევრი** |
| **ნინო შუბითიძე**<br>ადმინისტრაციული ასისტენტი | **ევაკუაციის კოორდინატორთა ჯგუფის წევრი** |
| **მარიამ ალელიშვილი**<br>მოსწავლეთა მიღების ოფიცერი | **ევაკუაციის კოორდინატორთა ჯგუფის წევრი** |
| **ნონა სურგულაძე**<br>მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი | **კომუნიკაციის კოორდინაციის ჯგუფის წევრი** |
| **ეკა კორიფაძე**<br>ადმინისტრაციული ასისტენტი | **კომუნიკაციის კოორდინაციის ჯგუფის წევრი** |

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

| | |
|---|---|
| **დავით გამხიტაშვილი**<br>IT ინფრასტრუქტურის მენეჯერი | **კომუნიკაციის კოორდინაციის ჯგუფის წევრი** |

7. **ნინო ნოზაძე**
კაფეტერიის მენეჯერის ასისტენტი — **IV სართულზე პასუხისმგებელი პირი**

| | |
|---|---|
| **ლალი გელაშვილი**<br>ქართული პროგრამის ხელმძღვანელი | **III სართულზე პასუხისმგებელი პირი** |
| **ნინო მარდალეიშვილი**<br>მათემატიკის მასწავლებელი | **III სართულზე პასუხისმგებელი პირი** |
| **ნატალია შანიძე**<br>*მათემატიკის მასწავლებელი და საშუალო საფეხურის კოორდინატორი* | **III სართულზე პასუხისმგებელი პირი** |
| **თემო ვაშაკიძე**<br>დაწყებითი საფეხურების ხელმძღვანელი | **II სართულზე პასუხისმგებელი პირი** |
| **მაია ხაზიური**<br>მათემატიკის მასწავლებელი/კათედრის ხელმძღვანელი | **II სართულზე პასუხისმგებელი პირი** |
| **ანი ქალიაშვილი**<br>დაწყებითი კლასისა და IPC-ის მასწავლებელი | **II სართულზე პასუხისმგებელი პირი** |
| **ლუკა შანიძე**<br>IT დეპარტამენტის თანამშრომელი | **I სართულზე პასუხისმგებელი პირი** |
| **ზაურ (ბაჩო) მინაძე** | |

| | |
|---|---|
| **ლუკა გორგოძიანი**<br>სპორტის მასწავლებელი | **სპორტდარბაზზე პასუხისმგებელი პირი** |
| **სანდრო წულაია**<br>სპორტის მასწავლებელი | **სპორტდარბაზზე პასუხისმგებელი პირი** |
| **თათია სტეფანოვი**<br>სპორტული კაფის ადმინისტრატორი | **სპორტულ კაფეზე პასუხისმგებელი პირი** |

3. წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული სახით დამტკიცდეს 2025 – 2026 სასწავლო წლის I სემესტრში განსახორციელებელი საევაკუაციო ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა *(დანართი N2).*
4. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ ჯგუფის უფროსებს/წევრებს დაევალოთ კომპეტენციის ფარგლებში თანდართული დოკუმენტაციით განსაზღვრული უფლება–მოვალეობების შესრულება.
5. წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული ჯგუფის უფროსები/წევრები ვალდებულნი არიან მათზე დაკისრებული ვალდებულებები შეასრულონ წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის მომენტიდან.
6. აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დაევალოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისი პირებისთვის გაცნობა.
7. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

_______________________

**სალომე დანელია**
**აკადემიური დირექტორი[1]**
**შპს „ბრიტანულ ქართული აკადემია“**

[1] მოქმედი სანოტარო მინდობილობის საფუძველზე; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N 251085606; სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური N 76101059502625; ნოტარიუსი: ირმა შარვაძე.

ბრიტანულ-ქართული აკადემია

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

***დანართი N1***

## საგანგებო სიტუაციების დროს

## ევაკუაციის სახელმძღვანელო (წესი)

### მუხლი 1.

1. წინამდებარე სახელმძღვანელო (წესი) ვრცელდება **შპს „ბრიტანულ ქართულ აკადემიაზე“** (შემდგომში – ***„აკადემია“ / „სკოლა“***) და რეაგირების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და მოსწავლეთა, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის აღსაზრდელთა და აკადემიაში დასაქმებულ პირთა უსაფრთხოების მიზნით აკადემიაში შექმნილი საგანგებო სიტუაციის დროს ადგენს ქცევის ზოგად წესს.
2. სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ერთ – ერთ შემთხვევას წარმოადგენს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს შექმნილი საგანგებო სიტუაციები, როგორიცაა: ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ. და ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენა ან სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება;
3. ყველა და ნებისმიერი პირი, რომელიც ჩართულია სასწავლო პროცესსა და სკოლის საქმიანობაში, უნდა გაეცნონ წინამდებარე წესს და იხელმძღვანელონ დადგენილი პირობების შესაბამისად.

### მუხლი 2.

1. აკადემიაში ფუნქციონირებს განგაშზე რეაგირების ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.
2. განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსი არის სკოლის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი პირი – საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილი პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად კოორდინაციას უწევს რეაგირების ძალებსა და საშუალებებს, მუდმივად უკავშირდება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს და არსებული სიტუაციის შესახებ ამზადებს წერილობით მოხსენებებს და აწვდის უწყვეტ ინფორმაციას აკადემიის უსაფრთხოების მთავარ ოფიცერს – აკადემიურ დირექტორს.
3. სკოლის განგაშზე რეაგირების ჯგუფი (საგანგებო შტაბი) იხილავს მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოების საკითხებს, მოიძიებს და აზუსტებს სათადარიგო სამოქმედო და დროებითი თავშესაფრისათვის უსაფრთხო ადგილებს, განაახლებს საევაკუაციო გეგმას და შეიმუშავებს ხელმძღვანელების არყოფნის შემთხვევაში მათი სხვა კადრებით ჩანაცვლების პროცედურებს. მზადყოფნის უზრუნველყოფისა და საგანგებო სიტუაციაზე დროული და ეფექტური რეაგირებისათვის ორგანიზება უკეთდება თეორიულ სწავლებებსა და სიმულაციურ

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

ვარჯიშებს. მზადყოფნისა და რეაგირების პროცესებში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინფორმაციის მართვას.

4. სკოლის ტერიტორიიდან ევაკუაციის გეგმა – წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის წინამდებარე წესს.

**მუხლი 3.**

1. საგანგებო სიტუაციების დროს მოსწავლეთა, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის აღსაზრდელთა და აკადემიაში დასაქმებულ პირთა უსაფრთხოების მიზნითა და ეფექტური, სწრაფი და ერთიანი რეაგირების განხორციელების მიზნით სკოლაში განგაშზე რეაგირების ჯგუფი უზრუნველყოფს პერიოდულად შესაბამისი ჩატარებას.
2. ევაკუაციის წვრთნები არის პერიოდული განგაშის ღონისძიება, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის აღსაზრდელთა და აკადემიაში დასაქმებულ პირთა ევაკუაციის პროცედურის კომპონენტებისა და საევაკუაციო გასასვლელებისა თუ თავშეყრის ადგილების შესახებ ინფორმაციის გაცნობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო რეაგირების უნარების გამომუშავება რეალური საფრთხეების შემთხვევაში.
3. საგანგებო სიტუაციების არსებობის დროს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საევაკუაციო გეგმისა და პროცედურების დაცვა. პერიოდულ სწავლებებში მონაწილეობის მიღება საუკეთესო შესაძლებლობაა ინსტრუქციების დაუფლებისათვის, ამიტომ აღნიშნულ სწავლებებში მონაწილეობა სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისთვის არის ვალდებულება. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი ვალდებულია სერიოზულად მოეკიდოს სწავლებებს და მოიქცნენ ისე, როგორც რეალური საფრთხის შემთხვევაში.
4. ყოველი ევაკუაციის შემდეგ *<u>(გარდა ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენისა ან სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინების შემთხვევისა)</u>* სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის აღსაზრდელთა და აკადემიაში დასაქმებულ პირთა დაბრუნება დამოკიდებულია საფრთხის სრულად გამორიცხვის შემდგომ, რასთან დაკავშირებითაც აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის შეტყობინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური დირექტორი. საგანგებო სიტუაციების მასშტაბიდან და შედეგებიდან გამომდინარე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე სკოლის აკადემიური დირექტორი მიმართავს სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ.
5. ფეთქებადი ნივთიერებების სკოლაში აღმოჩენის ან სკოლაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინების შემთხვევაში სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლეთა, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის აღსაზრდელთა და აკადემიაში დასაქმებულ პირთა დაბრუნება დამოკიდებულია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ აკადემიური დირექტორისათვის მიწოდებული ინფორმაციის (დასკვნის) საფუძველზე.
6. ევაკუაციის სიგნალის გაჟღერებისთანავე, აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი მიემართება მთავარი თავშეყრის ადგილზე. გადაწყვეტილება მოსწავლეთა, სკოლამდელი აღზრდის ცენტრის აღსაზრდელთა და აკადემიაში დასაქმებულ პირთა ძირითად გარე საევაკუაციო ადგილზე გაყვანის შესახებ მიიღება წარმოშობილი საფრთხეების გათვალისწინებით.

7. [illegible] გადაწყვეტილება არის, რომ გაემართოს უახლოესი გასასვლელისკენ. თუმცა ზოგჯერ პანიკაში ჩავარდნილი ადამიანები ერთსა და იმავე გასასვლელთან იყრიან თავს, რაც ართულებს ევაკუაციას.
8. კონკრეტული მარშრუტების დაწესება და ხშირი წვრთნები ევაკუაციის პროცესს რეალურ სიტუაციებში მეტად მოქნილს ხდის. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლის ტერიტორიაზე ევაკუაციის მარშრუტები ისეა დაპროექტებული, რომ ადამიანების ევაკუაცია მოწესრიგებულად, ერთმანეთისათვის ხელის შეშლის გარეშე, გეგმის მიხედვით განხორციელდეს.
9. ძირითადი გარე საევაკუაციო თავშეყრის ადგილის, საევაკუაციო ადგილზე დამხმარე გასასვლელისა და საევაკუაციო მარშრუტების შესახებ თვალსაჩინო ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე წესის **დანართ N1 – ში.**

## მუხლი 4.

1. საგანგებო სიტუაციების დროს სკოლის ყველა თანამშრომელი პასუხისმგებელია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. დამატებით, ევაკუაციის პროცესის დროს ევაკუაციის კოორდინატორები პასუხისმგებელნი არიან აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე, ხოლო მიმღები დაცვის თანამშრომლები – ვიზიტორების უსაფრთხოებაზე.
2. ეს პირები პასუხისმგებელნი არიან, დარწმუნდნენ რომ ყველა მათ პასუხისმგებლობაში მყოფი პიროვნება გამოცხადდა ევაკუაციის შეკრების ადგილზე, პერსონალის ან მოსწავლის დანაკლისის შემთხვევაში უნდა აცნობონ განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსს. ასევე, ისინი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ ჩააყენონ საქმის კურსში განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსი პირველადი სამედიცინო დახმარების საჭიროების წარმოშობის შესახებ.
3. მასწავლებლები, მენტორები და ასისტენტები მოსწავლეებს ითვლიან წინასწარ შედგენილი სიების მიხედვით მათთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში. შედეგი უნდა ეცნობოს კოორდინატორს ბარათის ზევით აწევით. წითელი ბარათი ნიშნავს, რომ მოსწავლეთა შემადგენლობას ვიღაც აკლია. მწვანე ბარათი ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგადაა და ყველა მოსწავლე ევაკუაციის შეკრების ადგილზეა.
4. კლასების სიები ინახება აკადემიის ადმინისტრაციასთან, რათა პასუხისმგებელმა პირმა (ევაკუაციის კოორდინატორთა ჯგუფმა ტექნიკური, დაცვისა და უსაფრთხოებისა და IT დეპარტამენტების დახმარებით), სწრაფად მიიტანოს ისინი ევაკუაციის ადგილზე. სკოლის ადმინისტრაცია, ასევე, ვალდებულია წარმოადგინოს იმ დღეს არსებული მოსწავლეთა სრული დასწრების სია. დამატებითი სიები ინახება ფეხბურთის მოედნის საწყობში საგანგებო კონტეინერებში. ეს წესი, ასევე, ეხება წითელ და მწვანე ბარათებს.
5. ევაკუაციის დროს დამატებით საჭიროა შემდეგი აღჭურვილობების მოწესრიგებულ/ გამართულ მდგომარეობაში ქონა:

- მეგაფონები (ხმის გამაძლიერებლები);
- მობილური ტელეფონები;
- რაციის სათადარიგო ელემენტები;
- თანამშრომლების და მოსწავლეების სიები;
- სამედიცინო ჩანთები;
- თერმული ბლანკეტები.

მიზეზს, სავარაუდო მასშტაბებს, არსებულ ვითარებას.

7. სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები უზრუნველყოფენ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას წერილობითი ფორმით – ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან/და სატელეფონო შეტყობინების გაგზავნის გზით.
8. სკოლის აკადემიური დირექტორი ვალდებულია საგანგებო სიტუაციების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამინისტროს, შესაბამის რესურსცენტრს და უფლებამოსილ ორგანოებს.

**მუხლი 5.**

1. განგაშზე რეაგირების ჯგუფი (საგანგებო შტაბი) წარმოადგენს ერთგვარ მექანიზმს, რომელიც ირთვება აკადემიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს წარმოშობილი საგანგებო სიტუაციებისას წინამდებარე წესის მიხედვით. ეს გუნდი შედგება სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებისგან, მათ შორის მმართველი გუნდის, ტექნიკური მხარდაჭერის გუნდის, IT, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურისა და სხვა წევრებისგან.
2. განგაშზე მორიაგირეთა ჯგუფის წევრები უნდა იყვნენ გაწვრთნილი იმისთვის, რომ რეაგირება მოახდინონ ეფექტურად, მინიმუმამდე დაიყვანონ რეაგირების დრო და შეამცირონ პოტენციური საფრთხის სიმძიმე და შედეგები. სწორედ მყისიერ რეაგირებაზეა დამოკიდებული ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა და მატერიალური ზიანის პრევენცია. განგაშზე მორიაგირეთა ჯგუფის გადიან სპეციალურ კურსებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სხვადასხვა სფეროში. ისინი კარგად უნდა იყვნენ გაწვრთნილი რთულ სიტუაციებთან გამკლავებისთვის, როგორიცაა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, ევაკუაციის მართვა, ცეცხლმაქრების გამოყენება ან სახიფათო მასალების ინციდენტებთან გამკლავება. ტრეინინგები უზრუნველყოფს მათ ეფექტურად და თავდაჯერებულად რეაგირებას მაღალი სტრესის სიტუაციებში.

**მუხლი 6.**

1. **განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსისა და მისი მოადგილის პასუხისმგებლობები:**

   **როლი:** *ფაქტის დადგომის შემთხვევაში პირველ რიგში ახორციელებელ აკადემიურ დირექტორის ინფორმირებას.*
   **მოვალეობები:**
   - *ხელმძღვანელობს და იღებს გადაწყვეტილებებს საგანგებო ვითარებებში; კოორდინაციას უწევს მორიაგირეებს, ანაწილებს დავალებებს და უზრუნველყოფს რეაგირების მდგრადობას;*

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

- *[illegible]*
- *აკვირდება სიტუაციათა განვითარებას, რომელმაც შესაძლოა, გავლენა იქონიოს სკოლაზე;*
- *საქმის კურსში აყენებს სკოლის პერსონალს და სხვა შესაბამის პირებს  სიტუაციების განვითარების შესახებ და იძლევა დირექტივას საგანგაშო შეტყობინებებისა  თუ გაფრთხილებების დაგზავნაზე;*
- *ხელმძღვანელობს საგანგებო ოპერაციებს ადგილზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების გამოცხადებამდე.*

**მუხლი 7.**

1. **უსაფრთხოების მთავარი ოფიცრის პასუხისმგებლობებია:**

**როლი:** სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოტენციური საფრთხეების შეფასებასა და შერბილებაში. იგი მონიტორინგს უწევს უსაფრთხოების დებულებებსა და მათ შესაბამისობას მოქმედებებთან. პასუხისმგებელია მოსწავლეებისა და პერსონალის უსაფრთხოებისათვის საჭირო პირობების მონიტორინგზე.

**მოვალეობები:**

- მონაწილეობს გეგმიურ შეხვედრებში, სადაც ყურადღებას ამახვილებენ როგორც დაზარალებულთა, ასევე მორეაგირეთა ჯგუფის წევრთა  უსაფრთხოების დაცვის ჭრილში;
- ახორციელებს ოპერატიული საქმიანობის მონიტორინგს პოტენციური საფრთხისა და სახიფათო პირობების შესაფასებლად;
- სახიფათო ქმედებების ან მდგომარეობის დაფიქსირებისას შესწორებას უკეთებენ შესაბამის ავტორიზირებულ პერსონალს;
- ახორციელებელ მონიტორინგს რეაგირებაში ჩართული პერსონალის სტრესის დონის მართვასთან დაკავშირებით.

**მუხლი 8.**

1. **მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ჯგუფის  უფროსისა და მისი წევრების პასუხისმგებლობებია:**

**როლი:** *საგანგებო სიტუაციების დროს ლოჯისტიკური დახმარებისა და რესურსების კოორდინაცია. ისინი უზრუნველყოფენ კრიტიკული ოპერაციების გამართულ მუშაობას და ხელს უწყობენ ნორმალური ბიზნეს საქმიანობის აღდგენას.*

**მოვალეობები:**

- *საგანგებო კონტეინერის დანიშნულ ადგილას მიტანა და გახსნა;*

- *მარაგების, კომპლექტების განაწილება და ა.შ;*

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

- *დამატებითი აღჭურვილობის, მარაგის ან პერსონალის საჭიროების განსაზღვრა. ამ ინფორმაციის კომუნიკაციის კორდინატორისთვის მიწოდება;*
- *პერსონალის განთავსებისა და მარაგების ტრანსპორტირების დაგეგმარება;*
- *ელექტროენერგიის გათიშვის დროს ისინი კოორდინაციას უწევენ სარეზერვო ელექტრომომარაგებას, კომუნიკაციას ამყარებენ კომუნალურ კომპანიებთან ელექტროენერგიის აღდგენის უზრუნველსაყოფად;*
- *გაზის მილსადენების შემოწმება, ხოლო გაჟონვის შემთხვევაში – მიწოდების გადაკეტვა.*
- *ელექტრო ენერგიის გათიშვა შენობის ჩამონგრევის, სტრუქტურული დაზიანების ან განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსის მოთხოვნის შემთხვევებში.*

**მუხლი 9.**

**1. სამედიცინო დახმარების გუნდის უფროსისა და წევრთა პასუხისმგებლობებია:**

**როლი:** *უზრუნველყოფენ პირველად სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ღონისძიებებს.*

**მოვალეობები:**

- *დაზარალებულებისათვის პირველადი სამედიცინო დახმარება;*
- *კოორდინაცია და კომუნიკაცია გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურებთან მყისიერი და შესაფერისი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად;*
- *მასობრივი მსხვერპლის შემთხვევაში დაზარალებულების თავშეყრის პუნქტის მოწყობა;*
- *პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მარაგების უზრუნველყოფა და მათი მიწოდება თავშეყრის პუნქტის ადგილას;*
- *განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსისათვის პერიოდულად მოხსენებების გაკეთება იმ პირთა სტატუსის შესახებ, ვინც გაიარა ან გადის მკურნალობას თავშეყრის პუნქტის ადგილას;*
- *დაზარალებულთა დახარისხება;*

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

**მუხლი 10.**

1. **ძებნის და გადარჩენის ჯგუფის ხემძღვანელებისა და ჯგუფის წევრების პასუხისმგებლობებია:**

**როლი:** *განგაშის გამოცხადებისთანავე მიემართებიან შენობების შესამოწმებლად და საჭიროების შემთხვევაში დაზარალებულს ეხმარებიან ევაკუაციაში.*

*შენიშვნა: ძებნის ჯგუფის წევრები შეიძლება დაკომპლექტდეს ნებისმიერი ზრდასრული ადამიანისგან, რომლებსაც არ აქვთ სხვა პასუხისმგებლობა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს. თუ საჭიროა დამატებითი მოხალისეები, შესაძლებელია კლასების გაერთიანება, რათა გამოთავისუფლდეს დამატებითი პერსონალი და შეუერთდეს ძებნის ჯგუფს დასახმარებლად.*

**მოვალეობები:**

- *ძებნის ჯგუფი ხელმძღვანელობს ხანძრის ჩაქრობის სამუშაოებს პოლიციისა და სახანძრო ბრიგადის მოსვლამდე, თუკი ამის გაკეთება უსაფრთხოა მათთვის.*
- *საჭიროებისამებრ მიმართულებას აძლევენ სახანძრო, სამაშველო სამსახურებს, პოლიციას და ა.შ.*
- *ახორციელებენ სკოლის შენობებისა და ტერიტორიის სრულ და საფუძვლიან შემოწმებას წინასწარ შემუშავებული სქემის მიხედვით.*
- *კეტავენ შესასვლელ კარიბჭეს და ყველა გარე კარს.*
- *უსაფრთხოების ყვითელი ლენტით დაზიანებული ან საშიში არეალის შემოფარგვლა.*
- *რწმუნდებიან რომ სასწავლო კამპუსი არის „ჩაკეტილი" და მოხსენებას აკეთებენ განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსთან;*
- *მოახსენებს განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსს ყველა აქტივობისა და გატარებული სიფრთხილის ღონისძიებების შესახებ;*
- *ეხმარებიან დაზარალებულებს ევაკუაციაში.*

**მუხლი 11.**

1. **ევაკუაციისა და კომუნიკაციის კოორდინატორთა ჯგუფის უფროსისა და წევრთა პასუხისმგებლობებია:**

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

- *წვრთნების ჩატარება და ტრეინინგების ორგანიზება ევაკუაციის პროცედურებში;*
- *ევაკუაციის სცენარის დროს უზრუნველყოფს მოწესრიგებულ და ეფექტურ ევაკუაციას;*
- *კოორდინაციას უწევს ყველა პერსონალის ანგარიშვალდებულებას (დათვლას), მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების;*
- *მოქმედებენ შესაძლო დაბრკოლებების ან პრობლემების აღმოსაფხვრელად, რომელიც დაკავშირებულია ევაკუაციის პროცედურასთან;*
- *მიმართულებას აძლევენ და ხელმძღვანელობენ მოსწავლეების სკოლის ტერიტორიაზე წინასწარ განსაზღვრულ უსაფრთხო თავშეყრის ადგილზე ან სკოლის გარე ევაკუაციის ადგილებზე გადაადგილებას;*
- *მოსწავლეების თავშეყრის ადგილზე უზრუნველყოფენ წესრიგს, აღიცხავენ ადგილზე გამოცხადებულ ან არ გამოცხადებულ და დაკარგულ მოსწავლეებს თითოეული მოსწავლეების ადგილმდებარეობისა და სტატუსის შემოწმებით. ადმინისტრაციული ასისტენტები პასუხისმგებელნი არიან პერსონალის წევრების აღრიცხვაზე.*
- *რჩებიან თავშეყრის ადგილზე მოსწავლეებთან საგანგებო მდგომარეობის მიმდინარეობის პროცესში, დამატებითი მითითებების მიღებამდე.*

**კომუნიკაციის კოორდინატორთა ჯგუფის წევრთა მოვალეობები:**

- *დახმარებას უწევს განგაშზე რეაგირების ჯგუფის უფროსს კომუნიკაციების საკითხში, ელექტრონულ საკომუნიკაციო მოწყობილობებთან დაკავშირებულ და სხვა მსგავს საკითხებში;*
- *ახორციელებენ როგორც შიდა და ასევე გარე კომუნიკაციას; ისინი ურთიერთობენ დაინტერესებულ მხარეებთან და თანამშრომლებთან.. უზრუნველყოფენ ინფორმაციულ განახლებებსა და ინსტრუქციების დროულ მიწოდებას;*

**მუხლი 12.**

1. **მთავრი შენობის სართულებზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობებია:**

**მოვალეობები:** შენობის თითოეულ სართულზე დანიშნულია სართულის მორიგეები, რათა უზრუნველყონ სართულზე მყოფთა დროული ინფორმირება საგანგებო სიტუაციის შესახებ. ისინი მიმართულებას აძლევენ

ევაკუირებულ ხალხს მათი სართულიდან უახლოეს გასასვლელისკენ; რწმუნდებიან რომ ყველა პირმა დატოვა შენობა, ისინი თავადაც მიემართებიან თავშეყრის ადგილისკენ.

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

1. წინამდებარე წესში ცვლილება შედის აკადემიური დირექტორის ბრძანებით.
2. წინამდებარე წესი უნდა გადაიხედოს და დამტკიცდეს ყოველი აკადემიური წლის დაწყებამდე.

***დანართი N2***

**საევაკუაციო ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა**

**2025-2026 სასწავლო წლის I სემესტრი**

ბრიტანულ-ქართული აკადემია

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

| | | | |
|---|---|---|---|
| **1** | 04.11.2025 | სასწავლო ტრენინგი განგაშზე რეაგირების ჯგუფის წევრებისთვის (ხანგრძლივობა 2,5 სთ.):<br><br>❖ თითოეული წევრის ფუნქცია - მოვალეობების გაცნობა და ახსნა - განმარტება;<br>❖ ევაკუაციის ინსტრუქციის დეტალური გაცნობა;<br>❖ საევაკუაციო სივრცეების გაცნობა; | მამუკა წიკლაური<br><br>გიორგი კობახიძე<br><br>დავით გუმბერიძე |
| **2** | 06.11.2025 | სასწავლო ტრენინგი სკოლის თანამშრომლებისათვის (ხანგრძლივობა 1 სთ):<br><br>❖ სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის როლის გაცნობა ევაკუაციის პროცესის განხორციელებაში;<br>❖ ევაკუაციის ინსტრუქციის დეტალური გაცნობა;<br>❖ საევაკუაციო სივრცეების გაცნობა. | მამუკა წიკლაური<br><br>გიორგი კობახიძე<br><br>დავით გუმბერიძე |
| **3** | განისაზღვრება დამატებით | ევაკუაციის სიმულაცია | მამუკა წიკლაური<br><br>გიორგი კობახიძე<br><br>დავით გუმბერიძე |